პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 216 (13032) | სამშაბათი, 15 სექტემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

აი ისინი, რომლებმაც თავი ისახელეს

ყველა მარჯვენას უქებს აჭარაში ქობულეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ ხალის ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მეჩაიეს ლ. კონცელიძეს, რომელმაც ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 200 პროცენტით გაანაღდა. მას შრომაში როდი ჩამორჩება სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მერგოლური ნაზი ხაბაზი. მისმა რგოლმა დიდი ხანია გაანაღდა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. აქ ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმის ზევით მოკრიფონ 10 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო". სოფელ გვარას კოლმეურნეობის წევრს ფ. მაკაანაძეს 0,5 ჰექტარზე წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 4.500 კილოგრამი. ფაქტიურად უკვე მოკრიფა 6.800 კილოგრამი. სეზონის დამთავრებამდე კიდევ 700 კილოგრამი ფოთლის მოკრეფას გეგეირდება.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

ლენინური პარტიის სახელოვანი ტრადიცია

„წრეში ვიყავით ექვსნი და მეშვიდე — ლექტორი, და დავიწყეთ მეცადინეობა პოლიტიკურ ეკონომიაში, მარქსის მიხედვით. ლექტორი მეცნიერებას გვაცნობდა სიტყვიერად, არავითარი რვეული არ ჰქონდა, ხშირად ცდილობდა გამოეწვია ჩვენი ან შეკამათება, ან კამათის სურვილი, და მაშინ გვაქებდა, აიძულებდა ერთს დაემტკიცებინა მეორისათვის, რომ სწორია მისი თვალსაზრისი ამ საკითხზე. ამრიგად, ჩვენი ლექციები მეტად ცოცხალი და საინტერესო იყო... ყველანი მეტად კმაყოფილი ვიყავით ამ ლექციებით და მოდან აღტაცებული ჩვენი ლექტორის ჭკუით..." — ასე. მოგვითხრობს მუშა-რევოლუციონერი ივანე ვასილის-ძე ბაბუჯინი იმის შესახებ, თუ როგორ ამეცადინებდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მუშათა წრეებს რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე რუსეთში.

რევოლუციის არმიას რომ ამზადებდა, დიდი ლენინი უწინარეს ყოვლისა ცდილობდა შეეიარაღებინა მოწინავე მუშები მარქსისტული მოძღვრებით, გამოეეჭედა მათგან პოლიტიკურად მომწიფებული, იდეურად გამოწრთობილი რევოლუციონერები — მოძრაობის ხელმძღვანელები. „რევოლუციური თეორიის გარეშე, აღნიშნავდა იგი, — შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც". მუშათა ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების ოვისებებზე რომ ლაპარაკობდა, ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ისინი მოწოდებული არიან იყვნენ სახალხო ტრიბუნები, რომლებსაც აქვთ ღრმა თეორიული მომზადება და ფართო პოლიტიკური ჰორიზონტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვანი ლენინური ტრადიციაა ის, რომ პარტიის წევრები და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელები დაუცხრომლად შემოქმედებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ღრმად სწავლოგდნენ მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებებს.

ეს ლენინური ტრადიცია ჩვენს დროშიც ცოცხლობს და მტკიცდება. არა ათობით, არა ასობით, არც ათასობით, არამედ მილიონობით საბჭოთა ადამიანი იარაღდება მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ცოდნით. ჩვენი პარტია თანამმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანას — მეცნიერულ მსოფლმხედველობას უვითარებს ჩვენი საზოგადოების ყველა მშრომელს, მეცნიერული კომუნიზმის სულისკვეთებით ზრდის მთელ მოსახლეობას.

დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, დაუცხრომლად აიმაღლონ იდეური დონე, ხელი შეუწყონ კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას — პარტიის პროგრამისა და წესდების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა თვითეული კომუნისტისადმი. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კომუნისტებმა, კომკავშირელებმა, ყველა მშრომელმა ღრმად და შემოქმედებითად შეიგნონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრობლემები, საკითხები, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების მთელ სისტემაში მთავარი ყურადღება დაეთმობა:

— პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის მიერ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განხორციელებასთან, სსრ კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, სკკპ პროგრამის განხორციელებასთან;

— მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის და მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეკავშირებისათვის ბრძოლის საკითხებს;

— სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ზოგებისა და მეთოდების, კომუნისტური პარტიის, როგორც თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის როლის ღრმა გაშუქებას;

— მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობას;

— სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ისტორიული აუცილებლობისა და მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის ასხნა-განმარტებას;

— ჩინეთის ხელმძღვანელთა იდეოლოგიასა და პრაქტიკაში, კიროვეობის კულტის გაფასებით მხილების აუცილებლობას.

პარტიული აქტივის ამოცანაა უწინარეს ყოვლისა ღრმად შეისწავლოს თანამედროვეობის ეს უაღრესად აქტუალური პრობლემები და სათავეში ჩაუდგეს ამ პრობლემების პრაპაგანდას კომუნისტებში, მშრომელთა ფართო მასებში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთ-

PRAVDA

14 სექტემბრის მოწოდება

მობს ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას, მათს ყოველმხრივ თეორიულ წრთობას. ცნობილია, რომ ყოველ დარგში — სამეურნეო, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ დარგში — წარმატებას განსაზღვრავენ ადამიანები, ხელმძღვანელები. საჭიროა, რომ გარდა კარგი სპეციალური ცოდნისა, ორგანიზატორული ნიჭისა, მათ ჰქონდეთ ღრმა იდეურ-პოლიტიკური მომზადება, იცოდნენ ცხოვრების მოვლენათა მარქსისტულად განაზღვრა, ხედავდნენ და აქტიურად უბერძნენ მხარს ახალს, მოწინავეს, ზრდიდნენ და რაზმავდნენ ადამიანებს პარტიის ლენინური გეგმების განსახორციელებლად.

პარტიამ აღზარდა მრავალრიცხოვანი მომწიფებული, იდეურად გამოწრთობილი ხელმძღვანელი კადრები. მათ უმაღლეს მოვალეობად მიაჩნიათ თავდადებით ემსახურონ ხალხს, დიად ლენინურ საქმეს. ასეთი კადრები ჩვენში ყველაფრის ტოს იძლევიან. მაგრამ არ შეიძლება არ გვითვალისწინოთ, რომ უკანასკნელ ხანს ხელმძღვანელ სამუშაოებზე მოვიდა ბევრი ახალგაზრდა მუშაკი, ენერგიული, საქმის მცოდნე სპეციალისტი, მაგრამ მათ ყოველთვის როდი აქვთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საჭირო ცოდნა, უნარი გამოიყენონ იგი პრაქტიკულ საქმიანობაში, აღზარდონ ადამიანები.

ცხოვრება წინ მიდის, წარმოიშობა ახალი პროცესები და მოვლენები, რომლებზეც პასუხს იძლევა მარქსიზმ-ლენინიზმი — შემოქმედებითი, განუწყვეტლივ განვითარებადი მეცნიერება. რევოლუციური თეორია მუდამ მდიდრდება ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რომლებსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება.

ლენინური ტიპის ხელმძღვანელი, მშრომელთა ნამდვილი აღმზრდელი და ორგანიზატორი რომ იყო, დაუცხრომლად უნდა სწავლობდე, ეუფლებოდე მარქსიზმ-ლენინიზმს, არ უნდა გაშინებდეს სიძნელეები და დაუღალავად სწავლობდე მარქსის, ენგელსის, ლენინის გენიალურ ქმნილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას, ჩვენი პარტიის, მარქსისტულ-ლენინურ პარტიათა თათბირების დოკუმენტებს. დღეს საკითხი ასე დგას: მთელი ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აქტივი. ყველა ხელმძღვანელი მუშაკი თავიდან ბოლომდე მოვალენი არიან გვიჩვენებდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური პრობლემების სისტემატური, მიზანსწრაფული შესწავლისა და მზრუნველობა ზორის კოლიტიკური მუშაობაში აქტიური უშუალო მონაწილეობის ნიმუშს,

საჭიროა გამოვიყენოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის წრეების ფართო ქსელი, სხვადასხვა კურსები, სკოლები და უნივერსიტეტები, თეორიული კონფერენციები და სემინარები, გასაუბრება და ლექციათა ციკლები. მაგრამ ძირითადი, ცხოვრებით შემოწმებული მეთოდია მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი.

ლენინური ტრადიციაა კომუნისტების, ხელმძღვანელების პირადი, უშუალო მონაწილეობა პროპაგანდისტულ შუშაობაში. ეს ტრადიცია ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მათგანი იყოს პარტიის ნამდვილად პოლიტიკური მებრძოლი. ცნობილია, რომ ხელმძღვანელის პირად ზემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური წრთობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მათს პირად მონაწილეობას პოლიტიკურ განათლებაში, რეგულარულ გამოსვლებს მშრომელთა წინაშე კომუნისტური მშენებლობის საკითხებზე, საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე.

სწორად იქცევიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ფართოდ ანმენენ ხელმძღვანელ კადრებს პროპაგანდისტულ საქმიანობაში. საქმიანობის თვითონ შინაარსი წელს მოითხოვს კვალიფიციური პროპაგანდისტების ახალ ძალებს. პოლიტიკურად და თეორიულად მომწიფებულ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ გასაგებად და დასაბუთებულად განუმარტონ მასებს სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა, მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მძაბე პარტიათა ბრძოლისა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, ამხილონ საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა პროპაგანდის ცილისწამება, საკადრისი პასუხი გასცენ ჩამორჩენილ განწყობილებებს, ამომწურავი პასუხი გასცენ წამოჭრილ საკითხებს.

პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, რომლებიც უკანასკნელ ხანს გაიმართა ლენინგრადში, სტავროპოლში, უკრაინასა და მთელ რიგ სხვა ადგილებში და რომლებმაც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხი, აღინიშნა, რომ კადრების მარქსისტულ-ლენინური წრთობა, მათი მონაწილეობა პოლიტიკურ მუშაობაში მუდამ პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. რა თქმა უნდა, რეგულარული სწავლისათვის მუშაკებს სჭირდებათ დრო. პარტიული ორგანოების მოვალეობაა იზრუნონ იმისათვის, რომ ყველგან უფრთხილდებოდნენ ხელმძღვანელთა დროს, აღმოუფხვრან უმარავი თათბირებისა და სხდომების მოწყობის უვარგისი პრაქტიკა.

მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენი ოუყუარი კომპასია კომუნიზმისაკენ ლაშქრობაში. მისი შემოქმედებითი შესწავლა თვითეულ ხელმძღვანელს აძლევს მძლავრ იდეურ იარაღს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების ბადწყვეტისათვის, ეხმარება უფრო ღრმად გაიგონ პარტიის ლენინური პოლიტიკა, უფრო წარმატებით განახორციელონ ეს პოლიტიკა.

ინდოეთის პრეზიდენტი ერევანში ჩავიდა

ლენინგრადი, 14 სექტემბერი. (საქდისი). ინდოეთის პრეზიდენტი დოქტორი სარვაპალი რადჰაკრიშნანი დღეს სპეციალური თვითმფრინავით ლენინგრადიდან ერევანს გაფრინდა.

ლენინგრადელებმა გულთბილად გააცილეს მეგობარი სახელმწიფოს მეთაური.

აეროდრომზე ჩამწკრივებულიყო საპატიო ყარაული, შესრულდა სახელმწიფო ჰიმნები. ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ი. ისაევმა და ინდოეთის პრეზიდენტმა დოქტორმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა სიტყვები წარმოთქვეს.

ერევანი, 14 სექტემბერი. (საქდისი). დღეს ლენინგრადიდან ერევანში სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდა ინდოეთის პრეზიდენტი დოქტორი სარვაპალი რადჰაკრიშნანი.

დამთავრდა კუბის ეროვნული ბალეტის გასტროლები მოსკოვში

მოსკოვი, 14 სექტემბერი. (საქდისის კორ.). დამთავრდა კუბის ეროვნული ბალეტის გასტროლები მოსკოვში, რომელიც მამდინარეობდა კომერლის ყრილობათა სასახლეში. გასტროლების დროს, რომლებიც ათი დღის მანძილზე დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, სპექტაკლებს დაესწრო 45 ათასზე მეტი მაყურებელი. კუბელმა მსახიობებმა უკანასკნელ დღეს უჩვენეს ლ. დელიბის სპექტაკლი „კოპელია", რომელიც დადგა რუსმა ბალეტმაისტერმა ლ. ფოკინმა. კუბის ეროვნული ბალეტის შემოქმედება „ბეგრი რამით არის დაკავშირებული რუსულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან. ჰავანაში კუბის ახალგაზრდა ბალეტს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს საბჭოთა მსახიობებმა და პედაგოგებმა.

ახლანდელი გასტროლების დროს მოსკოველმა მაყურებლებმა მაღალი შეფასება მისცეს ბალეტის სოლისტის მენია მარტინესის ოსტატობას, რომელიც ლენინგრადში სწავლობდა. თოჯინის როლი კი დღეს წარმატებით შესრულა სსრ კავშირის დიდი თეატრის ქორეოგრაფიულ სასწავლებლის მოსწავლემ კარმენა მორენომ.

სვანილდას ცენტრალური პარტია მისთვის დამახასიათებელი ვირტუოზული ტექნიკით, უშფოთობით და მომხიბვლელობით შესრულა ალისა ალონსომ, რომელსაც ყველაზე მეტი წარმატება ხვდა წილად. ალისია ალონსოს ღირსეულ პარტნიორობას უწევდა როდოლფო როდრიგესი.

მაყურებლებმა მხურვალე ტაშით დაალილდოს საინტერესო სპექტაკლის ყველა შემქმნელი.

სპექტაკლს დაესწრო ა. ი. მიკოიანი. მასთან ერთად ლოჟაში იყვნენ კუბის რესპუბლიკის ელჩი. სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი მეუღლითურთ და სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ნ. კუზნეცოვი.

საკრებულის ცნობა

1964 წლის 13 სექტემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-45" მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 89,69 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 327 კილომეტრი.

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 206 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 64 გრადუსი და 54 მინუტი. სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე დადგმულია:

— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტად გაზომვისათვის;

— რადიოტელემეტრიული სისტემა ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების დედამიწაზე გადასაცემად.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

პაკისტანის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირი

საბჭოთა მთავრობამ სთხოვა პაკისტანის პრეზიდენტს ეწვიოს საბჭოთა კავშირს. პრეზიდენტი სიამოვნებით დათანხმა ამ მოწვევას. მისი ვიზიტის დრო მოგვიანებით გამოცხადდება.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოების, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკებს, აჭარის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სოციალისტურ შეჯიბრებაში, 13 სექტემბერს შეასრულეს წლიური გეგმა. მოკრეფილია და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 28.544 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ბეჯითად იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მაღალი აგროტექნიკის გამოყენებით — ნიადაგის დამუშავების, მორწყვის, მინერალური სასუქების ეფექტიანი გამოყენების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის შედეგად აჭარის სახელოვანმა მეჩაიეებმა მიაღწიეს პლანტაციების ყველაზე მაღალ მოსავლიანობას რესპუბლიკაში. მიღწეული წარმატებანი შედეგია კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების თავდადებული შრომისა, დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ აჭარის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოების, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკებს, ყველა მშრომელს დიდ შრომითს გამარჯვებას — სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმის წარმატებით შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფისა და მიყიდვის ვალდებულებას, აგრეთვე თამბაქოს, ციტრუსების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს, გადაწყვეტენ მათ წინაშე დასახულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და ინტენსიფიკაციის ამოცანას, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ქობულეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს, რაიაღმასკომს

ქობულეთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ქობულეთის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. მოკრეფილია 28.339 ტონა ჩაის ფოთოლი. სამმართველოს მშრომელებმა იკისრეს, რომ გეგმის გადაჭარბებით მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 4.570 ტონა ხარისხოვან ფოთოლს.

მოპოვებული წარმატებები შედეგია იმისა, რომ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები თავდადებულად შრომობენ, ფართოდ ნერგავენ პლანტაციების დამუშავების მოწინავე მეთოდებს, გონივრულად იყენებენ სასუქებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოების, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკებს, ყველა მშრომელს დიდ შრომითს გამარჯვებას — სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმის წარმატებით შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

უპატაკებენ სამშობლოს

◆ **ცხაკაიას** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. შონია, საწარმოო სამმართველოს უფროსი დ. ბაღათურია, რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ჯიჯელავა „კომუნისტის" რედაქციას აცნობებენ, რომ ცხაკაიელმა მეაბრეშუმეებმა გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 285 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 273 ტონისა.

სახელმწიფოსათვის პარკის მიყიდვა გრძელდება.

◆ **ამბროლაურის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ბიგილაშვილი და საწარმოო სამმართველოს უფროსი ბ. მინდელი „კომუნისტის" რედაქციას ატყობინებენ, რომ ამბროლაურელმა მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 505 ტონა ხილი ნაცვლად 465 ტონისა და 402 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 400 ათასისა.

სახელმწიფოსათვის ხილისა და კვერცხის მიყიდვა გრძელდება.

◆ **მცხეთის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კავთიაშვილმა და საწარმოო სამმართველოს უფროსმა დ. მაღალაშვილმა „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ მცხეთის საწარმოო სამმართველოს მშრომელები სასახელოდ ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსადმი კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. 1.534 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 1.584 ტონა ხილი.

სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვა გრძელდება.

მეჩაიეთა ახალი გამარჯვება

ვრომის შედეგი

საუბარი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. ა. თხილაიშვილთან

შვიდწლედის მეექვსე წელს აჭარელმა მშრომელებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით 1964 წელს ახალი ძალით მოეწყოთ დიადი ლაშქრობა ჩაის, მარცვლეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებისათვის.

აჭარელ მეჩაიეებს წელს სეზონში გეგმით უნდა მოეკრიფათ 28.530 ტონა „მწვანე ოქრო". პირობის გასანაღდებლად პარტიულმა კომიტეტებმა, საწარმოო სამმართველოებმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან გაანალეს შემოქმედებითი ორგანიზატორული მუშაობა, დარაზმეს მშრომელები ჩაის მეურნეობის ახალი აღმავლობის მისაღწევად. უფრო ფართოდ, გაბედულად დანერგეს წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება.

მეჩაიეებმა მუშაობაში დანერგეს შესანიშნავი ტრადიცია: „იკისრე ვალდებულება—შეასრულე კიდევაც". ამას კანონის ძალა აქვს. ამასთან ერთად აჭარელმა მშრომელებმა კარგად გამოიყენეს სიუხვის ის გასალები, რომელიც პარტიამ მოგვცა, — ქიმია. ჩაი და ქიმია განუყრელი მეგობრები გახდნენ. უსასუქოდ ჰექტარი პლანტაცია საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ ორი ათას კილოგრამამდე ჩაის ფოთოლს იძლეოდა, ხოლო როცა გონივრულად იქნა გამოყენებული მხნერალური სასუქები — აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, ფოთლის მოსავლიანობა საგრძნობლად გადიდდა. უკვე მოკრეფილია 28.544 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 28.530 ტონისა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.650 კილოგრამი.

უნდა ითქვას, რომ აჭარელთა ამ სასახელო გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქობულეთელ მეჩაიეებს (ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი დ. თეგზიძე, საწარმოო სამმართველოს უფროსი ს. ჭანკურიძე). როგორც ცნობილია, ქობულეთის რაიონს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რესპუბლიკის ეკონომიკაში. წელს ქობულეთელმა მეჩაიეებმა გონივრულად გამოიყენეს სასუქები, საგულდაგულოდ დაამუშავეს ჩაის პლანტაციები და შედეგიც კარგი აქვთ. მაგალითად, ურეხის კოლმეურნეობის წევრებმა წელს ისე დაამუშავეს ჩაის პლანტაციები, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 7.065 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. ასეთი ფაქტები ქობულეთში ერთეული როდია. რაიონში 13 სექტემბრისათვის მოიკრიფა 28.339 ტონა ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებულ 28.300 ტონისა.

უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ადგილი ეკავა ბოლოს ადგილზე ბოლოს ადგილ ... ...

შვიდი დის ლირსეული ძმა

საუქმოსნო პროდუქციის ოსტატები

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე შართოდ გაიმალა ოქტომბრის 47-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

ყველგან შრომითი აღმავლობაა. საწარმოებში — ბრიგადასა თუ საამქროში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და მინდორ-ბაღებში, ვლინდებიან შრომის ახალი გმირები, ჩვენი სახელოვანი შუქურები.

ფართოდ უნდა ვაჩვენოთ მათი საქმიანობა.

„კომუნისტის“ რედაქცია სთხოვს საწარმოების ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს, მოგვაწოდონ ფოტოები, ჩანახატები, ნარკვევები შვიდწლედის ადამიანებზე.

◇ ◇

ხშირია შემთხვევა, როცა შვილი მშობლების კვალს გაჰყვება, მამის ან დედის პროფესიას აირჩევს. ასე მოხდა ივანე ჩიქოვანის ოჯახშიც. აპოლონმა საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მამის პროფესია აირჩია — გადაწყვიტა ფეიქარი გამხდარიყო.

1956 წელს ა. ჩიქოვანი თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის ხალხოვ საამქროში ქსელის გამწყობთა ბრიგადირს მოწყდა მიაბარეს. შრომისმოყვარე ახალგაზრდამ ყველაფერს მალე აუღო ალღო. მუშაობის შემდეგ აპოლონი ხშირად რჩებოდა კომბინატში, ეცნობოდა საფეიქრო წარმოების ყველა პროფესიას, სწავლობდა ხალხოვ დაზგებს. ოსტატები სიამოვნებით უხსნიდნენ ყველაფერს.

გავიდა ორი წელი. ბეჯითი ახალგაზრდა ა. ჩიქოვანი ხალხოვ საამქროში ქვეოსტატის თანაშემწედ გადაიყვანეს. მოკლე დროში აპოლონმა ზედმიწევნით შეისწავლა ხალხოვი დაზგები, ზოგ რამეში თავის მასწავლებელ. ოსტატებსაც კი გაუსწრო. 1959 წლიდან მას ქვეოსტატობა მიანიჭეს და 18 დაზგა ჩააბარეს. უკანასკნელ წლებში საფეიქრო მრეწველობისათვის შეიქმნა ახალი დაზგები, რომლებიც მკვეთრად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. მაგრამ ჯერ არსად არ არის ისეთი ტექნიკური სრულყოფა, რომ უზრუნველყოფილად მივიჩნიოთ არა მარტო მთელი საწარმოს, არამედ თუნდაც ერთი ბრიგადის მიერ ყველა ქსოვილის პირველი ხარისხით გამოშვება. მაქსიმუმი რასაც საერთოდ მიაღწიეს მქსოველებმა, ეს არის მთელი პროდუქციის 96 პროცენტის გამოშვება პირველი ხარისხით. მაგრამ ამასაც ყველა საფეიქრო საწარმო რადი ახერხებს.

როდესაც ქვეოსტატის თანაშემწეობიდან ქვეოსტატად გადაიყვანეს, აპოლონ ჩიქოვანმა მტკიცედ გადაწყვიტა მხოლოდ პირველხარისხოვანი ქსოვილი გამოეშვა. მართლაც თუ შესაძლებელია 96 პროცენტი პირველხარისხოვანი ქსოვილების გამოშვება, განა რა დაუძლეველია დანარჩენი 4 პროცენტი?

ვიდრე ჩანაფიქრს განახორციელებდა, აპოლონს მშვიდად არ სძინებია.

ამ ოთხი პროცენტის დასაძლევად წარმართა მან მთელი თავისი შემოქმედებითი ძალები, ამ ზღუდის ასაღებად დარაზმა შვიდი ქალისაგან შემდგარი ბრიგადა. მუყაითი შრომით ბრიგადამ თავისაჩინო წარმატებასაც მიაღწია, მკვეთრად გაადიდა პროდუქციის გამოშვება და გაუუმჯობესა მისი ხარისხი. 1960 წელს ნაცვლად 92%-ის 97 პროცენტისა გამოუშვა 99,2 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია. ამით ბრიგადამ დამსახურებულად მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი.

1961 წლიდან აპოლონ ჩიქოვანის ბრიგადამ ახალი ზღუდის ასაღებად ბრძოლა დაიწყო და საქმესაც მკაფიო კვალი დაჩნია. აი შედეგი: 1961 წლის იანვარში ბრიგადამ გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. გამოშვებული 8.583 მეტრი ქსოვილებიდან 99,9 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ასეთსვე მაჩვენებელს მიაღწიეს თებერვალშიც, ხოლო მარტში, აპრილში, მაისსა და შემდგომ თვეებშიც ბრიგადამ მთელი ანი პროცენტით მოგვცა პირველი ხარისხის ქსოვილები.

სკკპ ისტორიული XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში ჩვენი დიდი ქვეყნის სახელოვანი დედაქალაქის — მოსკოვის საწარმოთა კოლექტივებმა გამოიჩინეს ახალი ძვირფასი ინიციატივა, რომ გაშლილიყო ფართო სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და საიმედოობის გადიდებისათვის. ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურა აპოლონ ჩიქოვანის ბრიგადა და ახალი ენერგიით დაიწყო ბრძოლა მთელიანად პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

მიღწეული წარმატება ბრიგადამ კვლავ განამტკიცა. 1961 წელს ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 5.437 მეტრი ქსოვილი გამოუშვა და სანაქებო ხარისხობრივი მაჩვენებლების მაღალი დონე შეინარჩუნა.

აპოლონ ჩიქოვანის კომუნისტური შრომის ბრიგადის ეს მიღწევა შეიძლება მსოფლიო რეკორდად ჩაითვალოს. ეს ამბავი მალე რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა. ა. ჩიქოვანის წარმატება ბევრ საფეიქრო საწარმოში შეიტყეს.

ლენინგრადის ტელმანის სახელობის საფეიქრო კომბინატიდან თბილისი ფეიქართა დელეგაცია ჩამოვიდა. ლენინგრადელებმა საკუთარი თვალით ნახეს ჩიჭოვანის კომუნისტური შრომის ბრიგადის მუშაობა. უშუალოდ დარწმუნდნენ, რომ თურმე შესაძლებელია მთლიანად პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. მალე ლენინგრადელ ფეიქართა გაზეთ „პრავდა ტკაჩეი“ გამოჩნდა ჩიქოვანის ბრიგადის გამოცდილების ამსახველი სპეციალური გვერდები.

ამ წარმატებაში ა. ჩიქოვანთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით ბრიგადის წევრებს: ა. ბუდიონაიას, ტ. შაპავალოვას, ლ. ზანდარაშვილს, ტ. სმეტანკინას, რ. ნაგრონოვას, ნ. ბურდულს და ა. ანტიბორს.

— როგორ მიაღწიეთ ამ სარეკორდო მაჩვენებელს? შევეკითხეთ აპოლონს.

— ჩვეულებრივ. ახალი რამ, რაც ფეიქრებისათვის დღემდე ცნობილი არ იყო, არაფერი გაგვიკეთებია. მთავარია თვითეულ მუშას ჰქონდეს ცოდნა, უნარი, მაღალი შეგნება და მუშის წმინდა სინდისი. თუ ყველაფერი ეს ადამიანს აქვს, მაშინ წარმატებაც უზრუნველყოფილია. საქმე იხე წარმართება, როგორც საჭიროა. ნახელავიც საუკეთესო ხარისხისა იქნება და მას წუნს ვერავინ დასდებს. ზუსტად ასეა ჩვენს ბრიგადაში.

საქმით დავრწმუნდი, თუ კაცმა მოინდომა, ხალხის საკეთილდღეოდ ყველაფერს გააკეთებს. მთავარია იყოს საგმირო საქმეებისადმი სწრაფვა. როცა მიზნად მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება დავისახე, ბევრმა ოსტატმა ეს საეჭვოდ მიიჩნია, მაგრამ ამას ჩემზე გავლენა არ მოუხდენია.

განზრახვის განხორციელებაში მეც და ბრიგადის ყველა წევრიც ღრმად ვიყავით დარწმუნებული. ცხადია, პირველად გაგვიჭირდა, ბევრმა თანამოსაქმემ იმედი დაკარგა და ზოგჯერ კიდეც ამბობდნენ ჩემს გასაგონად, გამოცდილი ოსტატების წინ ნახტომით შორს ვერ წახვალო.

გადიოდა დრო, და ჩვენი წარმატება კომბინატში ყველასათვის სამაგალითო გახდა. ორი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ შევძელითო მთლიანად პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება.

სამუშაოზე ვცხადდები ადრე, ვამოწმებ დაზგების მდგომარეობას, წინა ცვლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, ვარკვევ წუნის მიზეზებს და მუშაობის დაწყებამდე წესრიგში მოვაყენებ ყველაფერი.

ამ საქმის წარმატებაში დიდად შეგვიწყო ხელი მქსოველთა ურთიერთდახმარებამ. ჩვენს ბრიგადაში მტკიცედ ვასორციელებთ პრინციპს — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. მაგალითად, რაკი შევნიშნავთ, რომ რომელიმე მქსოველს უჭირს, გეგმას ვერ ასრულებს, წუნს უშვებს, ვხსნი ერთ მქსოველს და მივამაგრებ ხოლმე ჩამორჩენილს, ხოლო ორ მოწინავე მქსოველს დროებით, მდგომარეობის გამოსწორებამდე, ვავალებ იმუშაონ სამ დაზგაზე. გარდა ამისა, მქსოველს მუშაობის დროს დაზგებს შორის სიარული უხდება. ამ დროს თუ დაინახა, რომ სხვის დაზგაზე ძაფი გაწყვეტილია და თანამოსაქმე ამას ვერ ხედავს, ის უმალვე გადაბამს ძაფს და შემდეგ განაგრძობს თავისი დაზგების მეთვალყურეობას.

დაზგები სამუშაოდ სავსებით გამზადებული უნდა იყოს. მაგრამ ჰქაც დიდი დაკვირვებაა საჭირო. არის ზოგიერთი კვანძი და ნაწილი, რომლის აშლილობა პირველ რიგში გავლენას ახდენს ხარისხზე. სწორედ ამ ნაწილსა და კვანძებს შევაკეთებ ხოლმე პირველ რიგში.

მუშაობაში არის შემთხვევები, როცა ერთდროულად რამდენიმე დაზგა გიჩერდება. ცხადია, ყველას ერთად შეკეთებას ვერ ვახერხებ, შრომის ნაყოფიერება ეცემა. მქსოველებს შევასწავლე დაზგის მარტივი აშლილობის გასწორება. ეს დიდად დაგვეხმარა დაზგების მოცდენის შემცირებაში. პროდუქციის გამოშვების გადიდებაში.

არის ასეთი შემთხვევაც. მაგალითად, გაჩერდა ორი დაზგა და ვერც ერთის ამუშავება მქსოველმა ვერ შეძლო. ამ შემთხვევაში წინდახედულებაა საჭირო. მე ასე ვიქცევი. სწრაფად ვათვალიერებ ორივე დაზგას და პირველ რიგში ვასწორებ იმას, რომელსაც ნაკლები დრო სჭირდება შეკეთებისათვის.

მთავარი, რაც ხელს გვიწყობს წარმატებაში, ის არის, რომ ჩვენი ბრიგადის ყველა წევრი კარგად დაფუძნებულია ქსოვის სისწრაფის ყველა ელემენტს.

აპოლონ ჩიქოვანმა კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომით თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა. როცა დადგა საკითხი, თუ ვინ უნდა დაესახელებინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ყველამ არჩევანი ა. ჩიქოვანზე შეაჩერა.

აპოლონ ჩიქოვანის შესანიშნავი ინიციატივის დაწყებიდან თითქმის ექვსი წელი გავიდა. ბრიგადის შრომითი მაჩვენებელი შუქურვარსკვლავივით ბრწყინავს მთელ კომბინატში. 1963 წელს ამ ბრიგადამ გამომუშავების ნორმა 113 პროცენტით შეასრულა და 98,7 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. ეს მაშინ, როცა საქმოვი საწარმოს კოლექტივმა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას 15 პროცენტი დააკლო. ბრიგადას კიდევ უკეთესი მაჩვენებლები აქვს შვიდწლედის მეექვსე წელს.

ჩიქოვანის ბრიგადის გამოცდილება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ წარმატება თავისით არ მოდის, მას ადამიანები ქმნიან, ხოლო წარმატება რომ მოვიპოვოთ, საჭიროა თვითეულ მუშას ჰქონდეს ცოდნა, საქმის სიყვარული, მუშის წმინდა სინდისი.

რვა წელზე მეტი გავიდა, რაც აპოლონ ჩიქოვანი თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატში მოვიდა. ნუ შეეცდებით მის ხასიათში ან მოქმედებაში რაიმე გასაოცარი არაჩვეულებრივი დაინახოთ. იგი უბრალო, შრომისმოყვარე, საქმიანი კაცია. კარგ ოსტატთა შორის ერთი იმათგანია, ვის გვერდითაც ადამიანი იზრდება, ლამაზდება, გამოუმუშავდება მუშური სინდისი და და მტკიცე ხასიათი.

ამიტომ არის, რომ მისი ბრიგადა მეშვიდრო ოჯახივით არის შეერთებული და შეხმატკბილებული. მხოლოდ ასეთ კოლექტივს, მხოლოდ ასეთ ერთიანობას შეუძლია მიაღწიოს მაღალ მაჩვენებელს.

ასეთია აპოლონ ჩიქოვანის ბრიგადა, რომელსაც კომბინატში შვიდი დის ერთ ძმას ეძახიან...

ზ. ჯამასპიშვილი.

* * *

სურათზე: აპოლონ ჩიქოვანი.

ᲛᲝᲛᲮᲡᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ...

მოგრძანდით, მოგვესასხურებით!

ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲬᲘᲠᲘ ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! — ასეთია ჩვენი კომუნისტური პარტიის დიდი პროგრამის მოთხოვნა.

ახლა ყველგან — საწარმოებსა თუ დაწესებულებებში, ქალაქად და სოფლად მთელი ფრონტით გაშლილია მუშაობა იმისათვის, რომ მკვეთრად ამაღლდეს მშრომელთა კეთილდღეობა.

უკანასკნელ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში „ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების ღონისძიებათა შესახებ“ ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე ყოველდღიურად მაღლდება და უმჯობესდება, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძალიერების საფუძველზე კიდევ უფრო მაღლდება ხალხის კეთილდღეობა.

ამ დიად ამოცანას — ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანას ემსახურებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს სისტემის 33 სამმართველოსა და კომბინატის სამრეწველო-და არასამრეწველო ხასიათის ორგანიზაციები 23 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურით. ახალი და ახალი ობიექტები იქმნება მშრომელი ადამიანების მომსახურებისათვის, მათი ნებასურვილის, საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. ამ მიზნით მარტო გასულ წელს რესპუბლიკაში შეიქმნა საყოფაცხოვრებო მომსახურების 150-ზე მეტი ახალი ობიექტი, კომბინატი, სამკერო, ატელიე, სახელოსნო და სხვ., მათ შორის თბილისში — 28, ქუთაისში — 31, ფოთში — 21, სოხუმში — 10, ბათუმში — 6, ბორჯომში — 5 და სხვ.

მწყობრში ჩადგა ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და ღებვის ახალი მძლავრი ფაბრიკა თბილისში, ქიმიური წმენდის მექანიზებული ფაბრიკის პირველი რიგი ამუშავდა ქუთაისში. სოხუმში მომდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ქიმიური წმენდის მექანიზებული ფაბრიკა. ეს ფაბრიკები, რომლებიც თანამედროვე დანადგარებით არიან აღჭურვილნი, მოემსახურებიან არა მარტო აღნიშნული ქალაქების მოსახლეობას, არამედ ახლო მდებარე ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობასაც, ადგილებზე ორგანიზებული მიმღები პუნქტების მეშვეობით.

ახლად შექმნილ ობიექტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი კატეგორიის ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის სპეციალიზებული ატელიე, საყოფაცხოვრებო კომპლექსური კომბინატი და ბავშვთა ტანსაცმლის ატელიე ქუთაისში; ფეხსაცმლის შემკეთებელი მექანიზებული სახელოსნო, საიუველირო ნაწარმის შემკეთებელი სალონი, ინდივიდუალური დაკვეთით თეთრეულის კერვის სახელოსნო თბილისში; ახალი ამბანა-სამრეცხაო და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების ობიექტი ქ. ბათუმში; ორსართულიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური კომბინატი ახალქალაქში და სხვ. რეკონსტრუირებულ იქნა და შეკეთდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 80-ზე მეტი ობიექტი.

2-3 წელიწადში ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს წერილი სახელოსნოების მთლიანად გამსჭვალვას.

იმისათვის, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებმა შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1970 წლისათვის 1965 წელთან შედარებით 2,8-ჯერ უნდა გაიზარდოს. სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა სპეციალიზაციის განხორციელებას.

ამ მიმართებით მთავარმა სამმართველომ და მისი სისტემის ადგილობრივმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს. სპეციალიზებული იქნა ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის საამქროები სოხუმში, ქუთაისსა და ბათუმში, აქ შეექმნა ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკები.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მოეწყო უშუალოდ მსხვილი საწარმოებისა და საცხოვრებელი მასივების ტერიტორიებზე. თბილისში ფეხსაცმლის სარემონტო სახელოსნოები და საპარიკმახეროები გიახსნა ფეხსაცმლის ინსტიტუტის სპეციალიზაციის საკითხებზე. გადაწყვეტილია უახლოეს დროში გავატაროთ გადამჭრელი ღონისძიებანი ამ საქმის დასამთავრებლად საყოფაცხოვრებო საწარმოთა სპეციალიზება განსაკუთრებით საჭიროა ქალაქ თბილისში. ეს ღონისძიება საგრძნობლად შეუწყობს ხელს მომსახურების ყველა დარგისადმი კვალიფიციური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, გაგვიადვილებს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების თავის დროზე და წარმატებით განხორციელებას.

ᲓᲘᲓᲘᲐ კაპიტალურ დაბანდებათა თანხები 1964 წლისათვის, დამტკიცებულია 4.811 ათასი მანეთის ოდენობით. ყველა სამშენებლო ობიექტი ძირითადად უზრუნველყოფილია ტექნიკური დოკუმენტაციით. მომდინარე წელს უნდა დამთავრდეს: 4 აბანო-სამრეცხაო, 7 ავტობროფილაქტორიუმი, საყოფაცხოვრებო მომსახურების 12 ახალი კომბინატი, 44 სხვადასხვა მომსახურების სალონი, კიოსკები და პავილიონები. გარდა ამისა, 29 ობიექტზე გაწეული უნდა იქნას გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამკვამად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გაშლილია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და ეჭვი არ არის, რომ აღნიშნული ობიექტები საექსპლოატაციოდ გადაეცემა დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს სისტემაში შემავალმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა 1963 წლის გეგმა საერთო მოცულობით 103,9 პროცენტით შეასრულეს.

ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ მომსახურება მოწოდების სიმაღლეზე რომ იქნეს დაყენებული, საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მეტი დახმარება გაუწიონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს.

ᲐᲮᲚᲔᲡ, გვინდა დავძინოთ, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 90-ზე მეტი ობიექტი ჯერ კიდევ არ გადმოუციათ მთავარი სამმართველოსათვის. არ სრულდება ამ საკითხზე ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილებანი.

ადგილებზე ობიექტებს დახმარება სჭირდებათ სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში, განსაკუთრებით ტანსაცმლის ინდივიდუალურ შეკერვასა და შეკეთებაში. აქ აუცილებელია მოსახლეობის მოთხოვნილების მიხედვით ქსოვილების არჩევა და გამოცვლა. რის შესახებ არსებულ დადგენილებას ქსოვილმომარაგების ბაზები არ ასრულებენ. საჭიროა ძირითადი და დამხმარე ნედეულების, ულესენი ტექნიკის მოწყობილობა-დანადგარებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალი სახის ნივთების, ნიტროსაღებავების და გამხსნელების, სადურგლო წებოს, ფანერის, ფოტომასალების, აეროტონის, ემალის საღებავებისა და ტექნიკურად რთული საყოფაცხოვრებო მანქანების (მაცივრები, სარეცხი მანქანები, რადიომიმღებები, ტელევიზორები) შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების მეტი რაოდენობით გამოყოფა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებისა და კომბინატების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი დარღვევაა და ნაკლია ჩვენ ყველა ღონისძიებას ვიხმართ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ყველაფერს გავაკეთებთ, იმისათვის, რომ მომხმარებელმა თქვას: აი ეს არის ნამდვილი კეთილმომსახურება, გმადლობთ, ამხანაგებო!

Თ. ᲥᲔᲠᲩᲐᲫᲔ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის კლენუმის შესახვედრად

მხოლოდ დაპირება

ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲘᲡᲘᲡ ქალაქში დიდი ბინათმშენებლობაა. მიმდინარე შვიდწლედში ათობით ამენდა ოთხ-ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლები, შეიქმნა ახალი დასახლებანი. მშენებლობა კვლავ გრძელდება.

ეს ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვის საუცხოო დადასტურებაა და მისასალმებელია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ზოგჯერ მშენებლები ბინებს უხარისხოდ აშენებენ, არ ითვალისწინებენ, რომ ამ ბინებში ადამიანებმა მთელი სიცოცხლე უნდა გაატარონ. მშენებელთა ცუდი ნახელავი შეიძლება წლობით გაჰყვეს ბინას და მობინადრე ყოველდღე გაიღიზიანოს...

1961 წლის აგვისტო იდგა. ჭიათურელმა ბინათმშენებლებმა ლენინგრადელთა თაოსნობას მიბაძეს და კარგი საქმე წამოიწყეს. მათ სტამბაში დაბეჭდეს „საგარანტიო პასპორტები“ და ქალაქს მოეფინენ. საგარანტიო პასპორტს ხელს აწერენ ბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსი, სპეციალმუშაოების, სანტექნიკური სამუშაოების, ელექტროტექნიკური სამუშაოების უფროსები, „ჭიათურგაზის“ კანტორის უფროსი. ისინი ბევრ რამეს აღუთქვამდნენ მობინადრეებს, ხელგაშლილი იძლეოდნენ დაპირებებს. პასპორტში ეკითხულობთ: „ბინათმშენებლობის სამმართველო გარანტიას აძლევს მობინადრეს, რომ შენობის საექსპლოატაციო ყველა წესის დაცვის შემთხვევაში სამმართველო ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს შენობის ელემენტების ყოველგვარი დაზიანების უსასყიდლოდ აღდგენას“.

მართლაც დიდებული პირობაა! ამაზე მადლობის მეტი აბა რა ეთქმოდათ მობინადრეებს! მაგრამ მშენებლებმა სიტყვა დაიგიწყეს, ქარს გაატანეს, საგარანტიო პასპორტი ფარატინა ქაღალდად აქციეს.

ახალი ბინის მიღებით გამოწვეული სიხარულს ადამიანი ვერ დაფარავს, მაგრამ ამ გრძნობას თან მოსდევს გულისტკივილი, საყვედურები მშენებლების მისამართით. არათუ ერთი წლის გარანტია, მობინადრეს ბინაში შესვლის პირველი დღეებიდანვე (ხოლო ხშირად შესვლამდეც) უჩნდება თავსატეხი საქმეები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სამეურვეებელ ბინებში ყველა კონსტრუქციული ელემენტები როდი კეთდება საფულდაგულოდ, ხარისხიანად, ზოგჯერ წვრილმანი სამუშაოებია შესასრულებელი, მაგრამ შენობის მაინც იბარებენ საექსპლოატაციოდ, ხოლო მშენებლებს ეს აღარ ახსენდებათ, რომ იტყვიან, სათოფედ აღარ გაუვლიან ამ შენობას.

რატომ ურიგდებიან უხარისხო ბინათმშენებლობას?

◆

ბინათმშენებლებისადმი საყვედურები ხშირად გვესმის, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოც ბევრი გვინახავს, მაგრამ კიდევ მოვინახულეთ საცხოვრებელი კორპუსები, ვესაუბრეთ მობინადრეებს, ხელმძღვანელ ამხანაგებს.

ბ. ძნელაძის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლები სამი-ოთხი წელია აშენდა, მაგრამ ბევრგან სახურავში წყალი ჩამოდის, ხოლო კედლები გარედან ჩამორეცხილია, და შენობა ათეული წლების წინათ აგებული გეგონებათ.

ი. გოგებაშვილის ქ. № 5 სახლში მობინადრეები გასულ წელს შესახლდნენ, მაგრამ იქ წყალი ჩამოდის. მოქ. იაკობიძეს ბინაში პარკეტი აყრილი დახვდა. მოსკოვის მეხუთე შესახვევში მცხოვრებ გ. სახანბერიძის ბინაში შესვლისთანავე აინგარა პარკეტი!

ი. გოგებაშვილის ქუჩაზე შარშან აშენდა ცენტრალური გათბობის საქვაბე. გასულ სეზონში მისი გამოცდა წარმოდგა, მაგრამ ქსელის უფარგისობის გამო წესიერად მაინც არ უმუშავია. იგი დღემდე კომისიის მიერ მიღებულიც არ არის, ხოლო მოსახლეობამ ზამთარი ისე გაატარა, რომ ცენტრალური გათბობა არა ჰქონია. აი რას წერს ამავე ქუჩის მცხოვრები, მარგანტრესტის სატრანსპორტო განყოფილების დისპეტჩერი შ. ბაქრაძე: „36-ბინიან სახლში მომდინარე წლის 5 მაისს შეგვახსენეს, მაგრამ დღემდე წყალი არა გვაქვს ონკანებიც კი არ გაუკეთებიათ. მოუწესრიგებელია განათებისა და კანალიზაციის სისტემაც“.

გასული წლის მაისში ლენინის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადასცეს 24-ბინიანი სახლი № 79. ცუდად შესრულებულ სამუშაოებზე გულისტკივილით ლაპარაკობენ აქ მცხოვრები მუშები ვ. პერანიძე, ა. ღვალაძე, ჯ. სალაძე, მ. ცუცქირიძე. მართლაც, შენობის სახურავში წყალი ჩამოდის, კიბეები უვარგისია, შუაგზაზე მიუტოვებიათ წყალსაწრეტი მილები, ისინი სახურავთან არ არის შეერთებული და წვიმის დროს მონადენი წყალი შენობის კედლებს ახიანებს.

კომკავშირის ქუჩაზე მოქ. ჭ. მაკავარიანისა და ვ. მასხარაშვილის ბინებში ბეტონის ქერი უკვე გაიხსნა. ასეთი მაგალითები ერთეული როდია.

ვინახულეთ მარგანტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ტექნიკურ-მეთვალყურეობის უფროსი ლ. კოტრიკაძე. იგი დამკვეთის წარმომადგენელია და ბინათმშენებლობაზე მკაცრი კონტროლი ევალება. მან არაერთი მიმართვა გვიჩვენა, მარგანმშენის ტრესტის, ბინათმშენებლობისა და სამშენებლო კომბინატის ხელმძღვანელობის მისამართით გაგზავნილი. მიმდინარე წლის 29 იანვარს ამბ. კოტრიკაძე მათ სწერდა:

„ბინათმშენებლობის ხარისხი ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამის მთავარი მიზეზია მშენებლობის წარმოება ეერიშობანის მეთოდით, რომელიც ბინათმშენებლობის სამმართველოში ძირითად მეთოდად იქცა. ცუდად შენების მეორე მიზეზია სამშენებლო კომბინატის მიერ გამოშვებული დაბალი ხარისხის პროდუქცია. (აივნის ასაწყობი სვეტები კარ-ფანჯრები, გადახურვის ფილები)“. დამკვეთი გადაჭრით მოითხოვდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ საქმე მაინცდამაინც წინ არ წასულა. **საგანგაშო ის არის, რომ შენობის მიმღები კომისია და ტექზედამხედველობა გაუმართლებელ ლმობიერება-გულაკეთილობას იჩენენ და ხელს უწერენ დაუმთავრებელ ან უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე..** აქ მეტი დაკვირვება, თავდაჭერა და პრინციპულობაა საჭირო.

სამშენებლო ბანკშიც შეეგიარეთ. მანეთით კონტროლი ხომ მათი უპირველესი მოვალეობაა. ბინათმშენებლებისათვის უკანასკნელ ერთ წელიწადში ორი აქტი შეუდგენიათ.

კომკავშირის ქუჩაზე 24-ბინიანი სახლის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებელს ნ. კომლაძეს 2.954 მანეთის მიწერა აღმოაჩნდა. მან № 2 ფორმაში შეიტანა შიფერის, პარკეტის, აგურის ტიხრის გადიდებული რაოდენობა, რაც ფაქტიური აზომვისას არ აღმოჩნდა, ზედმეტად უჩვენა 71 კვადრატული მეტრი აგურის ტიხარი, რითაც შეიძლება ორ-ოთახიანი ბინა აშენდეს.

მიწერები აღმოაჩნდა ი. გოგებაშვილის ქუჩაზე სამუშაოთა მწარმოებელს ს. ტაბატაძეს, რომელმაც ერთ სახლზე 1.569 მანეთი მიაწერა. მან შესრულებულად უჩვენა 50 კვადრატული მეტრი აივნის კარები და 16 აივნის კარადა. სინამდვილეში კი არც ერთი არ აღმოჩნდა. ასევე თუთიის სახურავის ნაცვლად სახლს შავი თუნუქი აღმოჩნდა. ბანკი იმით დაკმაყოფილდა, რომ სამუშაოთა მწარმოებლები და ტექზედამხედველი დააჯარიმა.

ბინათმშენებლები უხარისხობასთან ერთად, მშენებლობასაც აძვირებენ გასულ წელს **ზარალმა 52.596 მანეთი შეადგინა. უარესი მდგომარეობაა წელს. მართალია, მეორე კვარტალში მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ ექვს თვეში ზარალი 78.885 მანეთს უდრის. მარტო ხელფასში 43.261 მანეთი გადახარჯეს.**

მშენებელი კომუნისტება გაბედულად, მთელი პირდაპირობით ვერ ებრძვიან უხარისხობისა და უყაირათობის წინააღმდეგ. მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი პარტიულმა კრებამ გასული წლის 21 თებერვალს განიხილა. მოხსენება გააკეთა მთავარმა ინჟინერმა დ. ცხადაიამ. ბევრ მტკივნეულ საკითხს შეეხნენ, სიტყვებიც წარმოითქვა, დადგენილებაც მიიღეს. მართალია, სპეციალურად არა, მაგრამ ხარისხს თითქმის ყოველ კრებაზე აღნიშნავდნენ. სიტყვა-დაპირებები კი ქაღალდზე რჩებოდა, საქმეს მაინცდამაინც არაფერი დასტყობია.

მარტო საგარანტიო პასპორტი, საზეიმო სიტყვა-დაპირებები არ კმარა. ყოველ მშრომელს საგარანტიო პასპორტს კეთილმოწყობილი, საგულდაგულოდ ნაშენი ბინა უჩრჩევნია!..

ა. ლაბუჩიძე,

მარგანტრესტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების უფროსი.

პ. ᲤᲘᲝᲛᲙᲐᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲡ განვითარებული ადამიანი, რომელმაც არა მარტო უნდა აშენოს, არამედ კიდეკაც უნდა იცხოვროს კომუნისტურ საზოგადოებაში, ესთეტიკურადაც აღზრდილი უნდა იყოს.

მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდა კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილია. იგი ჩვენს სკოლაში ძირითადად ხატვისა და სიმღერა-მუსიკის სწავლებით ხორციელდება

მშვიდობისათვის!

ქარლოვი ვარი, 13 სექტემბერი. (საკდესი). მსოფლიოს უდიდესი მეცნიერები მონაწილეობენ განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ მეცნიერთა მე-13 (საერთაშორისო) პაგუოშის კონფერენციაში, რომელიც დღეს გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის საკურორტო ქალაქ ქარლოვი ვარში.

26 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიის ყველა მეცნიერი განიხილავს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა: მშვიდობის უზრუნველყოფა და ატომური ომის თავიდან აცილება, განიარაღება და ხალხთა მშვიდობიანი თანაშრომლობა. კონფერენციაში მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციის დღის წესრიგშია ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა: საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში, ჩვეულებრივი და ატომური შეიარაღების შემცირება, კოლექტიური უშიშროება, მეცნიერებისა და მეცნიერთა როლი საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფაში.

გაიხსნა მე-13 პაგუოშის კონფერენცია

●

კონფერენციის მონაწილენი მჭუბარეტაში შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშას პაგუოშის კონფერენციის მონაწილეებისადმი, რომელიც წაიკითხა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა მ. დ. მილიონშჩიკოვმა.

მეცნიერთა ამ საერთაშორისო შეხვედრას წერილები გამოუგზავნეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დუგლას ჰიუმმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა კაგე ერლანდერმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა. ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონფერენციის მონაწილეებს წერილი გამოუგზავნა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა. კონფერენციას მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მშრომელთა ფესტივალი

ბოლონია, 13 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იტყობინება.

დღეს თითქოს მთელი ბოლონიაა წითელ ფერში გამოწყობილი. წითელი ალმებით, წითელი ყელსახვევებით, წითელი ქუდებითა და ხალათებით აივსო ქალაქი, სადაც გაიმართა გაზეთ „უნიტას“ ეროვნული ფესტივალი. ისარგებლა რა კვირა დღით, ბოლონიაში გამოემგზავრა მუშა ხალხი იტალიის ყველაზე შორეული კუთხეებიდან.

რამდენი არიან? იქნებ 200-300 ათასი, იქნებ უფრო მეტიც.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილებით „უნიტას“ წლევანდელი ფესტივალი ტოლიატის ხსოვნას მიეძღვნა. და მისი სახელი გამუდმებით ისმის ფესტივალის მონაწილეთა ყველა სიტყვაში. იტალიის მშრომელები ფიცს დებენ, რომ ერთგულნი იქნებიან თავიანთი ნაცადი ხელმძღვანელის ანდერძისა.

„ჩვენ გაბედულად ვივლით წინ იმ გზით, რომელიც ტოლიატიმ დაგვიჩინა“, — განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ, როცა მშრომელთა მრავალთასიანი მიტინგი — ფესტივალის ცენტრალური მანიფესტაცია გახსნა.

„ზოგ ვინმეს ძალიან უნდა რომ ახლა ჩვენი პარტია ურიცხვ პატარა ჯგუფებად დაიყოს, — თქვა იტალიის კომპარტიის სამდივნოსა და ხელმძღვანელობის წევრმა ჯან კარლო პაიეტამ, რომელმაც მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა, — ეს არ მოხდება! მთელი ჩვენი პარტია, რომელიც თავის პრინციპების, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, გრამშისა და ტოლიატის ანდერძის ერთგულია, ირაზმება თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას ამხანაგი ლუიჯი ლონგო.

ძალა ერთობაშია

ალექსანდრია, 12 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ლუგანოვი იტყობინებენ:

არაბეთის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირის დასკვნით სხდომაზე, რომელიც გუშინ გვიან საღამოს გაიმართა, არაბეთის ქვეყნების ლიგის გენერალურმა მდივანმა ხოსეკომ წაიკითხა ერთობლიები კომუნიკე. კერძოდ, ამ კომუნიკეში ნათქვამია, რომ თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს არაბეთის სახელმწიფოთა საერთო მოქმედების გეგმები. მათ მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ არაბეთის სახელმწიფოთა საერთო ხაზის განხორციელებას სამხედრო და სხვა საკითხებში, და მისცეს მითითება დაუყოვნებელი დაიწყოს მუშაობა მდინარე იორდანისა და მისი შენაკადების გამოყენების არაბული პროექტის განხორციელებისათვის.

თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მზად არის ყველა იბრძოლოს ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობს არაბული სამყაროს ზოგიერთი რაიონის ხალხთა ჩაგვრას და ამ მიზნით ეწევა ტერორისტულ ქმედებებს.

დამთავრდა არაბეთის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირი

●

ალექსანდრია, 12 სექტემბერი. (საკდესი). ალექსანდრიაში, ალექსანდრიის ოლიმპიურ სტადიონზე, ორ ათასამდე ადგილიანი ტრიბუნა ავსებულია ადამიანებით. ეს ადამიანები ელოდებიან ალექსანდრიელ ფეხბურთელთა ჯგუფსა და ინგლისელ ფეხბურთელთა ჯგუფს შორის ფეხბურთის მატჩის დაწყებას. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს ეთამაშება ალექსანდრიის ჩემპიონატზე.

მტრებს ეშინიათ

ჰავანა. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ სიტყვა წარმოთქვა ჰავანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სალამოზე, რომელიც გაიმართა კუბის მშრომელთა რევოლუციური გაერთიანების შენობაში, და აღნიშნა, რომ, ყველა სიძნელის მიუხედავად, კუბის რევოლუციამ დიდი წარმატებები მოიპოვა სხვადასხვა დარგში. სწორედ ამიტომ არის, თქვა კასტრომ, რომ იმპერიალისტებს ასე ეშინიათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მოქალაქეთა კუბაში მოგზაურობისა.

არჩევნები სან-მარინოში

სან-მარინო, 14 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იტყობინებენ:

გუშინ სან-მარინოს რესპუბლიკაში — ევროპის ყველაზე უძველეს სახელმწიფოში (მისი დაარსება მიეკუთვნება IV საუკუნეს ახალი წელთაღრიცხვით) გაიმართა პარლამენტის მორიგი არჩევნები.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — დიდი გენერალური საბჭოს წევრების კანდიდატები დასახელეს ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ: კომუნისტურმა, სოციალისტურმა, სოციალ-დემოკრატიულმა, ქრისტიანულ-დემოკრატიულმა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მოძრაობამ.

არჩევნები მოიწყო საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც ქრისტიანმა დემოკრატებმა შემოიღეს 1957 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ (მანამდე მთელ ომის შემდგომ პერიოდში რესპუბლიკის ხელისუფლებას სათავეში ედგა მემარცხენე პარტიათა კოალიცია კომუნისტების მეთაურობით).

მოქმედი საარჩევნო კანონის შესაბამისად აირჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს 15.400 ამომრჩეველს — მეტს, ვიდრე რესპუბლიკის მთელი მოსახლეობაა.

საქმე ის არის, რომ ქრისტიანმა დემოკრატებმა ხმის უფლება მისცეს სან-მარინოს 7.300 მკვიდრს, რომლებიც უკვე დიდი ხანია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ.

ჩვენი კლანეტა ამ დღეებში

მეგობართა შეხვედრები

სოფია, 12 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ აქ დაიწყო მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის. როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი. ბულგარეთის დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი.

სრული თანხმობა

კოლომბო, 14 სექტემბერი. (საკდესი) აქ გამოქვეყნდა ცეილონის პრემიერ-მინისტრის სირიმავო ბანდარანაიკესა და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სარდარ სვარან სინგჰის ერთობლივი განცხადება. სარდარ სვარან სინგჰი კეთილ ნების მისიით იმყოფება ცეილონში. განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სამხედრო ბლოკების მიუმხრობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ცეილონისა და ინდოეთის საგარეო პოლიტიკას, ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებას მსოფლიოში, ომის თავიდან აცილებასა და საერთაშორისო კონფლიქტების მოწესრიგებას.

სამშობლოში გაფრენის წინ სარდარ სვარან სინგჰმა განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრ ს. ბანდარანაიკესთან მოლაპარაკების დროს ცეილონისა და ინდოეთის მხარეებმა სრულ თანხმობას მიაღწიეს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის უატმოს ზონის შექმნა ინდოეთის ოკეანის რაიონში, სხვის ტერიტორიებზე განლაგებული უცხოთის სამხედრო ბაზებისადმი დამოკიდებულება და სხვ.

მოლაპარაკების დროს განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეხება ამ ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცებას.

დემონსტრაცია სეიშელის კუნძულებზე

ზანზიბარი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ქ. ვიქტორიაში მაეს კუნძულზე (სეიშელის კუნძულების ჯგუფი, რომლებიც ინგლისის კოლონიური სამფლობელოა) გაიმართა ანტიამერიკული დემონსტრაცია. კუნძულზე არის ამერიკის სამხედრო სადგური, რომელიც უთვალთვალებს ხელოვნურ კოსმოსურ ობიექტებს.

პროფკავშირის წევრები, რომლებსაც მხარი დაუჭირა ქალაქ ვიქტორიის მოსახლეობამ, გამოვიდნენ დემონსტრაციაზე ლოზუნგით: „იანკებო, წაეთრიეთ შინ!“. ვიქტორიის ერთ-ერთ ქუჩაში დაწვეს ამერიკელთა სამხედრო სატვირთო ავტომანქანა.

კვიპროსს კვლავ ემუქრებიან

მაკარიოსის ინტერვიუ

ბონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად გადაიჭრას კვიპროსის საკითხი. პრეზიდენტმა მაკარიოსმა ხაზი გაუსვა, რომ კვიპროსის პრობლემა არ შეიძლება გადაიჭრას ძალის გამოყენების გზით.

მაკარიოსმა იმედი გამოთქვა, რომ გაიმარჯვებს გონება და განაცხადა, რომ, თუ თურქეთი შეეცდება იარაღის ძალით გადაჭრას კვიპროსის საკითხი, ეს იქნება უგუნურების აქტი.

მაკარიოსმა უარყო, როგორც სრულიად მიუღებელი, „აჩესონის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს კვიპროსის დაყოფას, და ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ კვიპროსი ნეიტრალური ქვეყანაა.

უმიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები ვ. ლოპატინი და ს. ლოსევი იტყობინებენ: ნატოს ორი ქვეყნის — საბერძნეთისა და თურქეთის ურთიერთობა, რაც კვიპროსის საკითხის გამო იმდენად გამწვავდა, რომ საქმე საომარ კონფლიქტამდე მიდის, გუშინ განხილვის საგანი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში.

დღის წესრიგშია საბერძნეთის საჩივარი თურქეთის მიმართ და თურქეთის კონტრსაჩივარი საბერძნეთის მიმართ.

საბერძნეთის წარმომადგენელმა დიმიტრიოს ბიციოსმა თავის გამოსვლაში ბრალად დადო თურქეთის მთავრობასის, რომ, როგორ საბერძნეთი მხარს უჭერს კვიპროსს, თურქეთის მთავრობამ გააუქმა საბერძნეთ-თურქეთის 1930 წლის ხელშეკრულება და დაიწყო ბერძნების მასობრივი გასახლება თურქეთიდან. მან განაცხადა, რომ 15 აგვისტოსათვის თურქეთიდან გასახლებული იყო 1.073 ბერძენი და რომ თურქეთის ხელისუფლები იმუქრებიან სტამბოლიდან გასახლონ კიდევ 12,5 ათასი ბერძენი.

თურქეთის მთავრობა, განაგრძო ბიციოსმა, ომით ემუქრება საბერძნეთს. ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო თურქეთის პრემიერ-მინისტრის ისმეთ ინენიუს 4 სექტემბრის განცხადებას თურქეთის პარლამენტში იმის შესახებ, რომ ახლანდელი მდგომარეობა საჭიროს ხდის თურქეთმა განახორციელოს სამხედრო ინტერვენცია კვიპროსში ყოველ მომენტში და რომ ეს ავტომატურად გამოიწვევს ომის მდგომარეობას თურქეთსა და საბერძნეთს შორის.

თურქეთის სარდლობამ, თქვა ბიციოსმა, საბერძნეთის საზღვრის მახლობლად თავი მოუყარა პირველ არმიას, ხოლო თურქეთის სამხედრო თვითმფრინავები განუწყვეტლივ აფრქვევენ საბერძნეთის საჰაერო სივრცეს.

საბერძნეთის წარმომადგენლის სიტყვით, თურქეთმა ფარულად გაგზავნა კვიპროსში 600 თურქი ჯარისკაცი და განუწყვეტლივ გზავნის კუნძულზე შეიარაღებასა და საომარ მასალებს. თურქეთი თავს უყრის დიდ შეიარაღებულ ძალებს კუნძულის მახლობლად, აღნიშნა ბიციოსმა და აქეზებს თურქ ექსტრემისტებს კვიპროსში, რითაც უკიდურესად ამწვავებს კვიპროსის პრობლემის მშვიდობიანად მოწესრიგებას.

შემდეგ გამოვიდა თურქეთის წარმომადგენელი ერალპი. იგი ცდილობდა გაემართლებინა თავისი მთავრობის აგრესიული პოლიტიკა კვიპროსის მიმართ. ამტიცებდა, რომ საბერძნეთი ცდილობს გადააქციოს კვიპროსი საბერძნეთის ტერიტორიის ნაწილად, და კვლავ ბრალად დასდო საბერძნეთსა და კვიპროსის პრეზიდენტ მაკარიოსს ის, რომ აეიწროებენ თურქთა თემებს კუნძულზე და აღლვევენ კვიპროსის კონსტიტუციას.

ოლიმპიადა

ბოლონია, 13 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იტყობინებენ.

ბოლონიაში, 13 სექტემბერ, ოლიმპიადა. ... ბ. ... ...

მეტრო თბილისში

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობაზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მკაფიო გამოვლინებაა ახალი მიწისქვეშა ტრასების მშენებლობა თბილისში.

ქალაქი თბილისი გაშენებულია მდინარე მტკვრის გაყოლებით 15 კილომეტრზე. უველაზე დასახლებულ ცენტრალურ ნაწილში მას ვიწრო ქუჩები აქვს ციცაბო დახრილობით. იმის გამო, რომ მდინარე ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს, სუსტად განვითარებულია გარდიგარდმო მიმოსვლა. ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების თავისებურებანი აძნელებენ მიწისზედა ტრანსპორტის საჭირო ოდენობით განვითარებას.

ქალაქის მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ მნიშვნელოვნად გაადიდა ქუჩებში მოძრაობა, გადატვირთა ისინი ტრამვაის ვაგონებით, ტროლეიბუსებით, ავტობუსებით, ავტომობილებით, მოძრაობა ინტენსიური გახდა.

უველაფერი ეს მოითხოვს გადასვლას ქუჩისგარე ჩქარ მოძრაობაზე, მეტროპოლიტენის სახით.

და აი მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის შემდეგ მწვანე ექსპრესები ჩვენი დედაქალაქის მიწისქვეშა გზებზეც გაიქროლებენ.

მეტროპოლიტენი ქალაქის უველაზე დასახლებულ რაიონებს ერთმანეთთან დააკავშირებს სწრაფი, მოხერხებული და ქვეით მგზავრთათვის უსაშიშრო მიწისქვეშა ტრანსპორტით.

ლენინის სამრეწველო რაიონი და პირველი მაისის რაიონის ნაწილი ქალაქის სხვა უბნებთან დაკავშირებული იქნებიან რკინიგზის სადგურ დიდუბიდან მეტროს ამავე სახელწოდების საწყისი მიწისზედა სადგურით. იგი მიიღებს კიროვის სახელობის ქარხანასთან და ლენინის რაიონის სხვა საწარმოებთან დაკავშირებულ მგზავრებს დ ლენინის რაიონის ახლომახლო კვარტალების მოსახლეობას.

რკინიგზის სადგურ დიდუბის მგზავრები, მაუდის ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა მუშები, აგრეთვე პირველი მაისის რაიონის მოსახლეობის ნაწილი მიიღებენ მოხერხებულ და უსაშიშრო მიწისქვეშა გადასასვლელს რკინიგზის ხაზქვეშ.

ამ სადგურის ძირითადი კონსტრუქციები უკვე დამთავრებულია და წარმოებს მონტაჟისა და მოპირკეთების სამუშაოები.

მეტროპოლიტენის სადგურიდან მეტროს ელდეპოს სადგურამდე, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის საელმავლო დეპოსთან არის, მიწისზედაა, მაგრამ ქუჩის მოძრაობისაგან იზოლირებულია, ხოლო ამ სადგურიდან გადასარბენზე მიწისქვეშ გადადის. ელდეპოს სადგურის მშენებლობაც ძირითადად დამთავრებულია და ამუამად წარმოებს მონტაჟისა და მოპირკეთების სამუშაოები.

პირველი მიწისქვეშა სადგურია ოქტომბრის სადგური, რომლის ვესტიბიული ოქტომბრისა და ხვანჭკარის ქუჩების კუთხეშია, ლენინის რაიონში.

საერთო-სამშენებლო სამუშაოები მიწისქვეშა სადგურზე და მიწისზედა ვესტიბიულში დამთავრების სტადიაშია. დამთავრებულია ესკალატორების მონტაჟი.

მგზავრებით უველაზე მეტად დატვირთული იქნება სადგური „ვაგზლის მოედანი", რომლის ვესტიბიულიც იქნება.

ამ სადგურის აგება ძირითადად დამთავრებულია და წარმოებს ესკალატორების მონტაჟისა და მოპირკეთების სამუშაოები.

პირველი მაისის რაიონში მეტროს მეორე სადგურია „მარჯანიშვილის მოედანი", რომელიც ოქტომბრის რაიონის საზღვარზეა და მომსახურებას გაუწევს ამ ორი რაიონის მოსახლეობას.

დღეისათვის უველაზე სრულყოფილი სახით გამოიყურება „მარჯანიშვილის მოედნის" მიწისქვეშა და მიწისზედა სადგურები. აქ გარდა ძირითადი კონსტრუქციებისა მთავრდება მონტაჟისა და მოპირკეთების სამუშაოები. ესკალატორები დამონტაჟებულია, ხოლო მიწისზედა ვესტიბიული მთლიანად დამთავრებულია. მასში დროებით მოთავსებულია კაფე „მეგობრობა".

ორჯონიკიძის რაიონში რუსთაველის მოედანზეა მეტროს სადგური „რუსთაველის მოედანი", რომელიც ქალაქის ორი რაიონის შესაყარზეა. მიმდინარეობს ამ სადგურის მიწისქვეშა სამუშაოები.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, იქ, სადაც ქალაქის კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულებებია, არის მეტროს სადგური „ლენინის მოედანი", სადაც უკვე გაჩაღებულია სამშენებლო სამუშაოები.

26 კომისრის რაიონში შაუმიანის სახელობის მოედანზე შენდება მეტროს 26 კომისრის სახელობის სადგური. ამ სადგურის მიწისქვეშა ნაწილი ძირითადად დამთავრებულია, წარმოებს მუშაობა საესკალატორო გვირაბის ასაგებად. მეტროს ბოლო სადგურია 300 არაგველთა სახელობის მიწისქვეშა სადგური ქალაქის 1-ლი საავადმყოფოსა და შაუმიანის ქუჩის ახლოს. სადგური, მოსაბრუნებელი ელჩიხი და საესკალატორო გვირაბი გაყვანილია და ბეტონით შემოპირვის მხრივ დამთავრებულია.

გადასარბენი გვირაბების აგების სამუშაოები დამთავრებულია სადგურებს ვაგზლის მოედანს — მარჯანიშვილის მოედანს — რუსთაველის მოედანსა და 26 კომისრის — 300 არაგველის სადგურებს შუა.

დანარჩენ გადასარბენებზე წარმოებს მუშაობა კლდოვანი ქანების ამოსალებად და ბეტონით შემოსაპირავად.

მიწისზედა ტრასა დიდებისა და ელდეპოს სადგურებს შუა მომზადებულია მეტროპოლიტენის ლიანდაგის დასაგებად.

გადასარბენებზე სადგურ „ვაგზლის მოედნიდან" ბოლო — 300 არაგველის სადგურამდე შენდება გვირაბები.

1964 წლის სექტემბერში მიწისქვეშა ტრასა ოქტომბრის და ელდეპოს სადგურებს შუა შეუერთდა მიწისზედა ხაზს, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ უკვე ამუამად გავლილ იქნას მეტროპოლიტენის მთელი ტრასა მდინარე მტკვრის კალაპოტის ქვეშ ორჯერ გავლით.

ტრასის ჰიდროგეოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით თბილისის მეტროპოლიტენის გვირაბების შემოპირვა, ჩვენი ქვეყნის სხვა მეტროპოლიტენებისაგან განსხვავებით, მონოლითური იქნება.

ისეთი უნიკალური ნაგებობის მშენებლობა, როგორიც მეტროპოლიტენია, არა მარტო შრომისა და სახსრების მნიშვნელოვან ხარჯვას მოითხოვს, არამედ შეუძლებელიც არის სამშენებლო მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის, ტრანსპორტის გამოუყენებლად.

თბილისის მეტროს მშენებლობაზე გარდა მექანიზაციის ჩვეულებრივი საშუალებებისა, გამოყენებულია გადასარბენი გვირაბების ასაგები უახლესი ტექნიკა.

თბილისის მეტროს მშენებლობაზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია გვირაბების გაყვანასა და მათ შემოპირვაზე ბეტონის ჩასხმის კომპლექსური მექანიზაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირაბების დამუშავების ელემენტური მეთოდების ნაცვლად თბილისის მეტროშენებლებმა გამოიყენეს სრული პროფილით დამუშავება. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა თვითმავალი საბურღავი ურიკები, საბურღავი დანადგარები სბუ-2, ბეტონტუმბოები, პნევმატური ბეტონსაკირხნები. გვირაბის გასაყვანი ფარი, მიწისქვეშა კომპლექსი მოწყობილობისა, გვირაბების სრული პროფილის გასაყვანად და მექანიზებული ესტაკადა.

ამუამად მეტროშენებლობის პრაქტიკაში პირველად ვიყენებთ გადასარბენი გვირაბის ნაგებობათა მოწყობილობის კომპლექსს 105-ტ ტიპის მექანიზებული ფარით.

მექანიზებული ფარი ჭრის კლდოვან ქანებს ნაცვლად ბურღვაფეიქებისა, აშორებს და ტვირთავს მონგრეულ ქანს. ამავე დროს მოწყობილობის ფარსუკანა ტექნოლოგიური კომპლექსი აწარმოებს ინვენტარის ლითონის შეფიცვრის მონტაჟსა და დემონტაჟს, ბეტონის ჩასხმასა და დაწნეხვას.

თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის განმავლობაში უკვე დამუშავებულია 700 ათასზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი და ჩასხმულია 200 ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი.

მიწისქვეშა სადგურებისა და მიწისზედა ვესტიბიულების მოსაპირკეთებლად გამოყენებულია სამამულო მარმარილო, გრანიტი, კერამიკული ნაკეთობანი, პლასტიკატები და სხვ.

თბილისგვირაბმშენის კოლექტივი, რომელმაც გაიჩაღა მოძრაობა მეტროპოლიტენის მშენებლობაზე კომუნისტური შრომისათვის, მაღალნაყოფიერი მუშაობის ნიმუშებს იძლევიან ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ობოლაძე, ტ. ვაშაძე, ს. ბლიაძე, კ. ლიუბავსკი, შ. დგებუაძე, ა. დათაშვილი, შ. ხმელიძე და სხვები.

მეტრომშენებელთა კოლექტივი, რომელიც აღფრთოვანებულია პარტიისა და მთავრობის ზრუნვით ქალაქ თბილისის მოსახლეობის ახალი, მოხერხებული, სწრაფი და უსაშიშრო მიწისქვეშა ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მთელ თავის ძალღონესა და უნარს მოახმარს იმას, რომ უმოკლეს ვადაში ააგოს მეტროპოლიტენი.

ვ. გოცირიძე,
თბილისგვირაბმშენის სამმართველოს უფროსი.

* * *

სურათზე: თბილისის მეტროს მშენებელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადირი ს. ბლიაძე, მნგრეველები ნ. ოსიტაშვილი, გ. არჩვაძე, რ. ბეჟამელი და ელექტრიკოსი ნ. კალანდაძე.

ფოტო ს. ილაძისა.



ქ. თბილისში მეტროპოლიტენის პირველი რიგის სქემა

საჭადრაკო მიმოხილვა

ცოტა ხნის წინათ მოსკოვი მექად ითვლებოდა მსოფლიოს ყოველი მოჭადრაკისათვის. მარტო სიტყვა — „მოსკოვის" გაგონებისას ყოველი ქვეყნის მოჭადრაკე შიმისაგან „ძრწოდა" და ამ სიტყვას უდიდესი პატივისცემითა და აღტაცებით წარმოთქვამდა — „დიახ, ეს წარმოუდგენლად ძლიერი საჭადრაკო ცენტრია".

ასეთივე აღტაცებით იხსენიებენ ახლა კავკასიას, საქართველოს, ვინაიდან ტ. პეტროსიანი, ნ. გაფრინდაშვილი მთავარსარდლები არიან საჭადრაკო სამყაროში. კავკასიის ამ ორი შვილის გარდა კარგად არის ცნობილი ბაქოელი ტ. ზატულოვსკაიაც, მოჭადრაკე, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებას ატარებდა.

ჭადრაკის სამყაროო ახლა ქედს იხრის თბილისის წინაშე — ამ თვალწარმტაც ქალაქში მიიღეს საჭადრაკო, აღზრდა ტ. პეტროსიანმა და ნ. გაფრინდაშვილმა. წინათ ვინ იცნობდა პატარა ქალაქ ზუგდიდს? თითქმის არავინ. ახლა კი ცნობილია, რომ იქ დაიბადა ჩვენი შესანიშნავი ნონა გაფრინდაშვილი.

წინათ ჩვეულებრივად მოჭადრაკეებიც მოსკოვში ჩერდებოდნენ, ახლა გზა მხოლოდ გადის მოსკოვზე. სექტემბერში ყველა გზა სოხუმში მიდის! აქ ჩამოფრინდნენ მოჭადრაკე ქალები ათი ქვეყნიდან. არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი აქ მოფრინდნენ თავაზიანობის ვიზიტით ან იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ თვალმარგალიტ ქალაქში ბუნების სიმშვენიერით დატკბნენ. სრულებითაც არა! მოჭადრაკე ქალები აგრესიულად არიან განწყობილნი. მათი ჩამოსვლის მიზანი და იმოცანა ერთია: პირველ ადგილზე გამოვიდნენ და „ოქროსმედალი" გამოიწვიონ ნონა გაფრინდაშვილი.

მე დავაკვირდი, რომ მოჭადრაკე ქალები სოხუმში „მსუბუქად" როდი ჩამოფრინდნენ. მათს ბარგშია არა მარტო საბანაო კოსტუმი, არა მარტო ტუალეტები, არამედ უეჭველად ეარიანტებით სავსე პატარა ჩემოდანიც. უკვე სტარტზე შეიძლებოდა შეგემჩნიათ, რომ მოჭადრაკე ქალები კარგად იცობენ თეორიას, შესაძლოა უკეთ, ვიდრე 20-30 წლის წინათ იგი ცობილმა გროსმაისტერებმა (მათ შორის ამ სტრიქონების აეტორმაც) იცოდნენ!

საჭადრაკო და მორალური დახმარებისათვის თითქმის თვითეულ მონაწილეს ჰყავს თავისი მწვრთნელი-სეკუნდანტი. ამ მხრივ „უპირატესობა" აქვს კარა ზვორიკინას. მან თავისთვის აირჩია ძალიან ხანდახანობული მწვრთნელი ი. ბოლესლავსკი ამ გროსმაისტერმა ტ. პეტროსიანი გამოიყენა მსოფლიოს ჩემპიონად და ახლა აქტიურად ერევა „ქალთა საკითხშიც".

ზოგიერთ მოჭადრაკე ქალთან მწვრთნელის ფუნქციას საკუთარი ქმარი — მოჭადრაკე ასრულებს. მაგალითად, ვალენტინა ბორისენკოს მიმაგრებული ჰყავს გ. ბორისენკო, ჩვენი მშვენიერი თეორეტიკოსი. ბულგარელ ანტონინა ივანოვასთანაც მწვრთნელის ფუნქციას ასრულებს მ. ბობოცოვი — გროსმაისტერი. საჭადრაკო ქორწინებაა ნედელკოვიჩების ოჯახშიც. მილუნკა ლაზარევიჩმა თავის სეკუნდანტად აირჩია თვალსაჩინო იუგოსლავიელი თეორეტიკოსი ვ. სოკოლოვი. ყველაფერი კი ძალიან კარგია. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მწვრთნელი როდი თამაშობს...

ამერიკელი გ. გრესერი ძალიან მდიდარი კაპიტალისტი ქალია. იგი ქმართანტურისტთან ერთად ჩამოფრინდა. ქმარი მოჭადრაკე კი არ არის, არამედ ადვოკატია. მეორე ამერიკელი ლიზა ლენინი, პირიქით, ღარიბია და მწვრთნელისათვის სახსრები არ ჰქონდა. ლიზა ლენინ ხელმძღვანელობს ჭადრაკის წრეს „ლაზარის პაიკს" ნიუ-იორკის ერთ-ერთ დიდ უნივერსალურ მაღაზიაში. ლიზა ლენინს სახელი პლუს კარგი გარეგნობა კარგი რეკლამაა, და მხაზველები მიეშურებიან ხოლმე კლუბ „ლაზარის პაიკში", სადაც იქნებ იმის შესაძლებლობაც იყოს, რომ ლაზარად იქცე?! არ ვიცი, მე იქ არა ვყოფილვარ...

სოხუმის დრამატულმა თეატრმა არაჩვეულებრივი, ასი პროცენტით საჭადრაკო სახე მიიღო: მორთული სცენაზე მსოფლიოს 18 უძლიერესი მოჭადრაკე ქალი დაფიქრებული პოზით უსხედან ჭადრაკის ცხრა მაგიდას. მაყურებლები კარგად იქცევიან, წყნარად არიან, ხმაურით ხელს არ უშლიან შეჯიბრებების ახს. მაგრამ მე — მეთვალყურე ვახერხებ ყური მოვკრა მეზობლების ჩურჩულს ან გულმოდგინედ ვაკვირდებ ოხერას. „რას აკეთებს?!" „რატომ გაკეთა ასეთი სვლა?!".

ყველა კომენტარი როდი ეკუთვნის საჭადრაკო სვლებს. „რა საინტერესოა ლიზა ლენინს ვარცხნილობა!", „რა მოხდენილი ფიგურა აქვს მილუნკა ლაზარევიჩს!". „რა საუცხოოდ დადის „ჩიტუნია!". ვინ არის ეს „ჩიტუნია?" თურმე სოხუმში „ქანარის ჩიტუნია" დაარქვეს პოლონელ კონაკოვსკას. ჰენრიკა კონარკოვსკასთვის ბევრს „შესტკივა ყური".

საჭადრაკო „პრემიერა" დრამის თეატრში მართლაც ძალიან დრამატულად დამთავრდა: ტატიანა ზატულოვსკაიამ გარკვეულად აჯობა თამაშში კირა ზვორიკინას. ვერავითარი მწვრთნელი — თვით ბოლესლავსკიც — ვერ უშველიდა, პარტია დაუმთავრებელი რომ დარჩენილიყო. მაგრამ 37-ე სვლაზე ტატიანამ დროს გადააცილა... ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა ზატულოვსკაია. რა თქმა უნდა! რით თესო მეტრიაო.

ეუნაზოლაურა ზატულოვსკაიას პირველი წრის წარუმატებლობა.

დრო, წამშზომი, საჭადრაკო საათზე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ვაკოთა ტურნირებში. ქალთა ტურნირში, ვგონებ, წამშზომი კიდევ უფრო სასტიკი მტერია: მარგარეტ ტეოდორესკუმ (ბუქარესტი) პარტიაში მაია რანიკუსთან ვერ შეაძრნია შამათი ორ სვლაში. ოღონდ ხასიათი კი არ გაუფუჭდეს: ეს ჩვენ, მამაკაცებსაც, მოგვდის ხოლმე!.

არ გეგონოთ ყველა მოჭადრაკე ერთმანეთის მეგობრობდეს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ორი უდიდეს მოჭადრაკეა — ა. ალიოხინი და ხ. რ. კაპაბლანკა მრავალი წლის განმავლობაში სალამსაც არ აძლევდნენ ერთმანეთს. მაგრამ რაღა წარსულს ვიხსენებთ. ორი ამერიკელი — რ. ფიშერი და ს. რეშევსკი ისეთი კოკეტურებები არიან, რომ ერთმანეთს ვერ იტანენ. ჩემს კითხვაზე (ეს ამსტერდამში იყო), თქვენ საუკეთესო მეგობარი რ. ფიშერი როგორ არის-მეთქი, რეშევსკიმ ხუმრობით მიპასუხა: ეს ჩემი საუკეთესო მეგობარი კი არ არის, ჩემი საუკეთესო მტერიაო.

ქალებშიც არის ასეთი „კლასიკური" მეგობრობა. მაგალითად, გ. გრესერი და ლიზა ლენინ ისეთი „მეგობრები" არიან, რომ ლენინ მასთან ერთ მაგიდაზე არ ჯდება. მათი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. გრესერი (ლენინ მას აგრესორს უწოდებს!) ბედნიერი იყო, წაგებული პოზიცია რომ გადაარჩინა.

მილუნკა ლაზარევიჩი და ვერიკა ნედელკოვიჩი მრავალი წლის მეტოქეები არიან იუგოსლავიისა და საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრებაში. მათს პარტიებში ყოველთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. მესამე ტურში ლამაზი გამარჯვება მოიპოვა ლაზარევიჩმა. 30 სვლა გაკეთდა, მაგრამ პაპიროსი გაცილებით მეტი მოსწევს. ნედელკოვიჩმა დასაკვნითს პოზიციაში სამი პაპიროსი მოსწია სიმშვიდე მოიკრიბა და ჭადრაკის საათი გაიჩერა. ერთი სიტყვაც არ თქმულა. არც „ოკცნა" ყოფილა და არც ხელის ჩამორთმევა. მეტოქეებმა ხმაამოუღებლივ მოაწერეს ხელი კაპიტულაციის აქტს და ერთმანეთს დაშორდნენ. გამახსენდა ალიოხინისა და კაპაბლანკას, ფიშერისა და რეშევსკის „სუკეთესო დროება".

ფიდეს ტურნირებზე წესად მიღებულია ხელოვნური წილისყრა. ასე იყო ამსტერდამშიც. ტურნირის მონაწილეები ერთი ფედერაციიდან ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ტურნირის დასაწყისში. ამრიგად, ჩვენი ექვსეული სტარტზე ერთმანეთს ებრძვის. ზვორიკინა ამარცხებს რანიკუს, ზატულოვსკაია ბიკოვას, ბიკოვა თავის მხრივ (ალბთ) ზვორიკინას და ა. შ.

„შინა ფრონტზე" ბრძოლებმა შესაძლებლობა მისცა ორ უცხოელ მოჭადრაკეს ხელი ეგდოთ ლიდერობა: კვეტა ერეტოვამ (ჩეხოსლოვაკია) ჩინებულ შედეგს მიაღწია სტარტზე. სამ შეხვედრაში ჩვენს მოჭადრაკეებთან— ვ. ბორისენკოსთან, მ. რანიკუსთან და ა. კუშნირთან 2,5 ქულა დაგრრეა. ამდენივე ქულა აქვს „ქანარის ჩიტუნიას" პენრიკა კონარკოვსკას. მილუნკა ლაზარევიჩისაც 2,5 ქულას შინსები აქვს, თუ წარმატებით დამთავრებს ადგილებად გადადებულ პარტიებს.

ამრიგად, სტარტზე ლიდერობა ხელთ ეგდო ერთმა შავგვრემანმა — კვეტა ერეტოვამ და ორმა ქერამ— ჰენრიკა კონარკოვსკამ და მილუნკა ლაზარევიჩმა.

მაგრამ საჭადრაკო ტურნირში ლიდერი ხშირად იცვლება. რადგან თმის ფერი ქალს შეუძლია რამდენიმე საათში შეიცვალოს, დღეს ჯერ კიდევ მეტად აღრეა გავაკეთოთ პროგნოზი — ქერა გაიმარჯვებს თუ შავგვრემანი.

საქმეს გადაწყვეტს არა ვარცხნილობა, არა თმის ფერი, არა მოხდენილი ფიგურა, არამედ ოსტატობა. ჩვენ გვჯერა, რომ ნონა გაფრინდაშვილს საქმე ექნება რომელიმესთან საბჭოთა ექვსეულიდან. ასეთი ტრადიცია აქვთ ჩვენს მამაკაცებს, ასეთივე წესი უნდა დაიცვან საბჭოთა მოჭადრაკე ქალებმაც.

გროსმაისტერი
სალო ფლორი.

ქ. სოხუმი.

სცენაზე და კულისებში...

ჩვენში ქალმა მამაკაცთან აბსოლუტური თანასწორუფლებიანობა მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ქალს დღემდე სჩვევია ზოგჯერ დაიგვიანოს. რომელ მამაკაცს არ შეხვედრია დალოდებოდა პაემანზე დაგვიანებულ ქალს?! მაგრამ ჭადრაკის საათი ყველაზე საინტერესო ქალსაც კი არ უცდის. როცა ჭადრაკის ალმი ჩამოვარდება... ვერაფერი ვედარ გიშველის, ვერც ღიმილი და ვერც ქალის მომნიბლაობა!

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, პირველ ტურში ტატიანა ზატულოვსკაიამ დროს გადააცილა კირა ზვორიკინასთან შეხვედრაში. კაისა-ჭადრაკის ქალღმერთი ხშირად სასტიკია. ამჯერად კაისა სამართლიანი აღმოჩნდა: ვერიკა ნედელკოვიჩმა პარტიაში ზატულოვსკაიასთან ყველა 40 სვლის გაკეთება ვერ მოასწრო და 35-ე სვლაზე ალმი ჩამოვარდა! კაისამ აღმოჩნდა საშველი — საუკეთესო რეცეპტი. ტატიანა შავ ზღვაში გადაეშვა. იქ მას შეხვდა კირა ზვორიკინა — რომდენიმე ფრაზით მიმართეს ერთმანეთს და დამშვიდდნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. სწორიც არის... წინ ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამეა. ნერვები კიდევ გამოადგებათ.

ნონა გაფრინდაშვილი ტურნირს ესწრება როგორც ნეიტრალური მეთვალყურე. იგი „ზეიმის მიზეზია", ასე ვთქვათ „საჭადრაკო მეჯლისის" დისახლისი, სოხუმის „საერთაშორისო დარბაზობის" თამადაა. თუ სიტყვა „თამადა" ვიხმარე, არ გეგონოთ, რომ ეს ღვინოსთან იყოს დაკავშირებული, ღმერთმა დაიფაროს! მოჭადრაკე ქალთა შორის ნონა ყველაზე ხაკლებად მსმელია, დანარჩენი მონაწილენიც ცდილობენ სასტიკი სპორტული რეჟიმი დაიცვან (მე ვთქვი: ცდილობენ!). ვალენტინა ბორისენკო პარტიაზე „ბოტვინიკისებურად" მოდის: თან თერმოსი აქვს. ჩვენი სტუმრები (მაგალითად, ამერიკელები) უარს როდი ამბობენ ქართული ღვინის „დაჭაშნიკებაზე".

ნონა ასწრებს თვალყური ადევნოს სეანაზე ბრძოლის მიმდინარეობას, კულისებში პრეს-ბიუროა. იქ ნონა „იღებს" უცხოელ ოსტატებს და ამოწმებს მათს ძალას ელვისებურ პარტიებში. თუ ნონამ ინგლისის მიწაწყალზე შეძლო თვით მეხელე ტალი დაემარცხებინა, საკვირველი არ არის, რომ სოხუმის მიწაზე ოსტატები ვერ უძლებენ მის ცემას. მაგალითად, ოსტატი ნედელკოვიჩი დამარცხდა ანგარიშით 4 : 6. ყველა ჩვენმა სტუმარმა იცის რუსული ენა, და ისინი რწმენდებიან ინმაში, რომ ნონა არა მარტო შესანიშნავად თამაშობს ჭადრაკს, არამედ მამაკაცთა დამარცხებაც ისწავლა. კულისებში ხშირად მეტი მხიარულებაა, ვიდრე სცენაზე.

ბოლოს ალმოჩენილ ანტონინა ბულგარელ ანტონინა ივანოვასთან ერთად ბულგარეთიდან ჩამოფრინდა ბ. ბობოცოვი — ბულგარეთის ჩემპიონი. ეს ბ. ბობოცოვი ... ბ. ბობოცოვ... ბ. ბობოცოვ... ეს ბ. ბობოცოვ... ეს ... ...